სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/08

(ოქმი N8)

ქ. ბათუმი 15 ივლისი 2020 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35^7 მუხლის 1-ლი პუნქტის და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დებულების მე-4 მუხლის 4.4. ქვეპუნქტის საფუძველზე

1. შევიდეს ცლილებები სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტში (მიღ: 2016 წლის 14 ივლისი, გადაწყვეტილება N01-01-14 ოქმი N8) და დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 მუხლი:

,,მუხლი 7^1.

7.1. იმ შემთხვევაში, თუ გამოცხადებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა ან/და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებულია სამართლებრივი აქტი, რომლითაც გათვალისწინებულია ისეთი სახის შეზღუდვები, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მრჩეველთა საბჭოს წევრების უშუალო თანდასწრებით წინამდებარე რეგლამენტით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, მრჩეველთა საბჭოს სხდომის ჩატარებას და ამდენად შესაბამისი აქტის მიღებას, მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია, გამონაკლისის სახით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის ან/და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის მოქმედების განმავლობაში ჩაატაროს დისტანციური სხდომა, რაც გულისხმობს სხდომის ჩატარებას ელექტრონული კომუნიკაციის (სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ონლაინ ვიდეო და აუდიო ზარები) საშუალებების გამოყენების მეშვეობით.

7.2. დისტანციური სხდომის მოწვევა, ასევე სხდომის ჩატარება და გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული წესით, შემდეგი სპეციალური პროცედურების დაცვით:

ა) დისტანციური სხდომის დღის წესრიგთან ერთად, სხდომამდე სულ მცირე სამი დღით ადრე, მრჩეველთა საბჭოს თითოეულ წევრს უნდა ეცნობოს იმ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების თაობაზე, რომლის გამოყენებითაც განხორციელდება ელექტრონული სხდომის ჩატარება.

ბ) დისტანციური სხდომის ჩანაწერის განხორციელებას უზრუნველყოფს მრჩეველთა საბჭოს აპარატი;

გ) დისტანციური სხდომის დაწყებისთანავე, მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ სხდომის გახსნის და დღის წესრიგის გამოცხადების შემდეგ, მრჩეველთა საბჭოს თითოეული წევრი ზეპირსიტყვიერად ადასტურებს თავის მონაწილეობას დისტანციურ სხდომაში.

დ) დისტანციური სხდომის მსვლელობისას, მრჩეველთა საბჭოს ნებისმიერი წევრის მონაწილეობის შეფერხების შემთხვევაში, სხდომა უნდა შეჩერდეს ტექნიკურ შესვენებაზე ხარვეზის სრულ აღმოფხვრამდე, რის შესახებ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზეპირად აცნობებს საბჭოს წევრებს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ამგვარი ხარვეზი შეექმნა მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს, ამგვარ განცხადებას აკეთებს სხდომის მდივანი.

ე) დისტანციურ სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხმის მიცემის დროს მრჩეველთა საბჭოს თითოეულმა წევრმა ზეპირსიტყვიერად უნდა დააფიქსიროს გადაწყვეტილებისთვის ხმის მიცემის ან სხვა გადაწყვეტილების თაობაზე (სახელის და გვარის დასახელებით და ხმის მიცემის ან არ მიცემის, ასევე თავის შედეგების აღნიშვნით).

ვ) დისტანციურ სხდომაზე კენჭისყრის შედეგი უნდა გამოცხადდეს ზეპირსიტყვიერად მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის ან მისი დავალებით სხდომის მდივნის მიერ.

ზ) დისტანციურ სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ხელს აწერს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო სხდომის ოქმი დგება წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული წესით და ფორმით.

თ) მრჩეველთა საბჭომ დისტანციურ სხდომაზე დაინტერესებულ პირთა ჩართულობა უნდა უზრუნველყოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,www.ajaratv.ge".

3. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი